

შპს „დინა“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## სარჩევი

|                                                                                   |      |
|-----------------------------------------------------------------------------------|------|
| 1. შესავალი                                                                       | 3    |
| 2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                                             | 4    |
| 3. სრული შემოსავლის ანგარიშგება                                                   | 5    |
| 4. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება                                              | 6    |
| 5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება                                                   | 7    |
| 6. სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა<br>განმარტებითი შენიშვნები | 8-17 |

## 1. შესავალი

### კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დინა“, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი 1997 წლის 28 ივლისს „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად დაფუძნებულ იქნა საჯარო რეესტრის ქუთაისის განყოფილების მიერ.

საგადასახადო რეგისტრაციის თარიღი: 28/07/1997 მინიჭებული აქვს ს/კ212678734, დღგ-ს გადამხდელია(დან) 01/09/2000წ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დინა“ დამფუძნებლებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები:

ნათია თოდუა (პ/ნ60003002724) - წილი 50%

ნუნუ გედენიძე (პ/ნ60001044624) - წილი 50%

შპს „დინა“-ს დირექტორი: ნათია თოდუა (პ/ნ60003002724)

ანგარიშგების მომზადების დროს, საზოგადოების იურიდიულ და ფაქტიურ მისამართს წარმოადენს: საქართველო, ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის 86ა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს: რეზინისა და სხვა ტექნიკურ ნაკეთობთა წარმოება.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები არ გააჩნია.

01.01.2022 წლისათვის საზოგადოებას დასაქმებული ჰყავდა 43 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშო პერიოდისათვის 31.12.2022წ. 44 თანამშრომელი.

## შპს „დინა“ ს/კ212678734

### 2. ფინანსური მდგომარეობა

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| ფინანსური მდგომარეობა                                                                       |   | 31/12/2022 | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|---------------------------------------------------------------------------------------------|---|------------|------------|------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 1 | 743213     | 634021     | 63263      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 2 | 15002      | 19316      | 4590       |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 3 | 295383     | 289047     | 1888       |
| მარაგები                                                                                    | 4 | 1922038    | 984498     | 1137764    |
| სხვა                                                                                        |   | 1922038    | 984498     | 1137764    |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  |   | 26138      | 0          | 78203      |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                |   | 3017       | 3017       | 3017       |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 5 | 2581989    | 2734951    | 2709737    |
| სულ აქტივები                                                                                |   | 5586780    | 4664850    | 3998462    |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |   |            |            |            |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 6 | 10839      | 7916       | 34113      |
| ანარიცხები                                                                                  |   | 1036       | 1734       | 900        |
| ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ                                                            |   | 0          | 16255      | 0          |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  |   | 0          | 106913     | 1542       |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 7 | 2710488    | 1471360    | 1034956    |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             |   | 88953      | 127110     | 0          |
| სხვა ვალდებულებები                                                                          |   | 417866     | 511710     | 512887     |
| სულ ვალდებულებები                                                                           |   | 3229182    | 2242998    | 1584398    |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |   |            |            |            |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 8 | 100000     | 100000     | 222000     |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   |   | 763387     | 730871     | 492226     |
| გადაფასების რეზერვი                                                                         |   | 1494211    | 1590981    | 1699838    |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       |   | 2357598    | 2421852    | 2414064    |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      |   | 5586780    | 4664850    | 3998462    |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   |   | 3001774    | 1926882    | 1285708    |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              |   | 3140229    | 2115888    | 1584398    |

შპს „დინა“ ს

დირექტორი:



ნათია თოდუა



## შპს „დინა“ ს/კ212678734

4. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

|                            | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება/ზარალი | გადაფასების<br>რეზერვი | სულ კაპიტალი |
|----------------------------|-----------------------|--------------------------------|------------------------|--------------|
| 31.12.2020                 | 222000                | 492226                         | 1699838                | 2414064      |
| კაპიტალის ზრდა (შემცირება) | 0                     | 0                              | 0                      | 0            |
| პერიოდის შედეგი + (-)      | -122000               | 238644                         | -108857                | 7787         |
| 31.12.2021                 | 100000                | 730870                         | 1590981                | 2421852      |
| კაპიტალის ზრდა (შემცირება) | 0                     | 32516                          | -96770                 | -64254       |
| პერიოდის შედეგი + (-)      | 0                     | 0                              | 0                      | 0            |
| 31.12.2022                 | 100000                | 763386                         | 1494211                | 2357598      |

შპს „დინა“-ს

დირექტორი:



ნათია თოდუა

## შპს „დინა“ ს/კ212678734

5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

|                                                                       | 2022წ.         | 2021წ.         |
|-----------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობად:                     |                |                |
| მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები               | 5022501        | 4333788        |
| მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები                                | -3912576       | -2129992       |
| გაცემული შრომის ანაზღაურება                                           | -565515        | -455370        |
| გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)                    | -929178        | -510192        |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                          | -123994        | -111084        |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები                 |                | -268426        |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი</b>        | <b>-508762</b> | <b>858724</b>  |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:                    |                |                |
| მოკლევადიანი სესხების აღება                                           | 2791365        | 1894115        |
| მოკლევადიანი სესხების დაფარვა                                         | -1461804       | -1457711       |
| გადახდილი პროცენტები                                                  | -120316        | -114469        |
| გადახდილი დივიდენდები                                                 | -667500        | -598000        |
| <b>საფინანსო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი</b>         | <b>541745</b>  | <b>-276065</b> |
| ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)                 | 76209          | -11901         |
| <b>ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:</b>        | <b>109192</b>  | <b>570758</b>  |
| <b>ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წლის დასაწყისისათვის:</b> | <b>634021</b>  | <b>63263</b>   |
| <b>ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წლის ბოლოსათვის:</b>      | <b>743213</b>  | <b>634021</b>  |

შპს „დინა“-ს

დირექტორი:



ნათია თოდუა

## **6. სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები**

### **მომზადების საფუძვლები**

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ( მსს ფასს) 2018 წლის რედაქციის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა-ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება ზარალზე.

### **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება**

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კომპანიის საქმიანობა გაიზარდა და შემოსავლის ნამეტმა 2021 წლის შესაბამის პერიოდს გადააჭარბა 280ათასი ლარით, ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომპანიამ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

### **ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია**

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივაციული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ-გრძელვადიან აქტივებში.

### **ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველადი აღიარება**

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველა კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

## უცხოური ვალუტის გადაფასება

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა-ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება ზარალზე.

*უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:*

|                       | 31 /12/ 2022წ | 31 /12/ 2021წ | 31/12/2020 |
|-----------------------|---------------|---------------|------------|
| 1 USD/GEL             | 2.7020        | 3.0976        | 3.2766     |
| 1 EURO/GEL            | 2..8844       | 3.5040        | 4.02333    |
| RUB/ 100 რუსული რუბლი | 3.6770        | 4.1479        | 4.4031     |

### 1. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადები ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელიც არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3- დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

|                                 | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---------------------------------|------------|------------|------------|
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 736485     | 101531     | 4804       |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 0          | 0          | 53295      |
| უცხოური ვალუტა რეზიტენტ ბანკში  | 6728       | 532490     | 5164       |
| სულ ფული და ფულის ექვივალენტი.  | 743213     | 634021     | 63263      |

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

## 2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარება მეგობა-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღმა შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

|                                | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|--------------------------------|------------|------------|------------|
| სავაჭრო მოთხოვნა               | 15002      | 19316      | 4590       |
| სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 15002      | 19316      | 4590       |

## 3. წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება, თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

#### 4. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული

მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

|                   | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|-------------------|------------|------------|------------|
| ნედლეული მასალები | 1922038    | 984498     | 1137764    |
| სულ მარაგები      | 1922038    | 984498     | 1137764    |

კომპანიის ნედლეული და მასალები  
მოიცავს:

|                          | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|--------------------------|------------|------------|------------|
| საქონელი                 | 1247883    | 7540       | 8011       |
| ნედლეული და მასალები     | 674155     | 681807     | 1129753    |
| დაუმთავრებელი წარმოება   | 0          | 295151     | 0          |
| სულ ნედლეული და მასალები | 1922038    | 984498     | 1137764    |

#### 5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ.საშუალების თვით ღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გაუქვითავი გადასახადები და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყველა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩაოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის; გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

|                         | მიწა    | შენობა-<br>ნაგებობა | მანქანა-<br>დანადგარები | სხვა<br>ძირითადი<br>საშუალებები | სულ<br>ძირითადი<br>საშუალებები |
|-------------------------|---------|---------------------|-------------------------|---------------------------------|--------------------------------|
| ბალანსი 31.12.2020      | 1567008 | 600995              | 202296                  | 342455                          | 2712754                        |
| შეძენა                  | 0       |                     | 16705                   | 190585                          | 207290                         |
| ჩამოწერა                | 0       | 95302               | 0                       | 0                               | 95302                          |
| ცვეთა                   | 0       | 22312               | 1786                    | 62676                           | 86774                          |
| ბალანსი<br>31.12.2021წ. | 1567008 | 483381              | 217215                  | 470364                          | 2737968                        |
| შეძენა                  | 0       | 0                   | 25193                   | 9672                            | 34865                          |
| ჩამოწერა                | 0       | 96769               | 0                       | 48                              | 96817                          |
| ცვეთა                   | 0       | 22524               | 6022                    | 62464                           | 91010                          |
| ბალანსი<br>31.12.2022წ. | 1567008 | 364088              | 236386                  | 417524                          | 2585006                        |

### ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთი არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისთვის:

სასარგებლო ვადა (წელი)

შენობა-ნაგებობები 20

მანქანა-დანადგარები 5

სხვა ძირითადი საშუალებები 5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

#### *ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა*

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება, ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

### **6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთწლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდებასამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

|                                                  | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|--------------------------------------------------|------------|------------|
| სავაჭრო ვალდებულებები უცხოელი მომწოდებლის მიმართ | --         | --         |
| სხვა სავაჭრო ვალდებულებები                       | 10839      | 7916       |
| სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                | 10839      | 7916       |

კომპანიის უცხოელი მომწოდებლები არიან რუსეთისეთის, უკრაინისა და თურქეთის კომპანიები, რომლებთანაც კომპანიას აქვს მრავალწლიანი თანამშრომლობა და მათთან ურთიერთობა კომპანიისთვის წარმოადგენს რისკს და კომპანია ცდილობს უფრო საიმედო პარტნიორების მოძიებას.

## 7. სესხები

*სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.*

|                      | 2022წ.  | 2021წ.  |
|----------------------|---------|---------|
| მოკლევადიანი სესხები | 2710488 | 1471360 |
| გრძელვადიანი სესხები | 88953   | 127110  |
| სულ მიღებული სესხი   | 2799441 | 1598470 |

კომპანიის მიღებული სესხების შედგება ბანკებისაგან მიღებული სახსრებისგან. 2021 წლის 31 მდგომარეობით ბანკისგან მიღებული სესხების ნაშთი შეადგენდა 1598470ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2799441ლარს. სესხი მიღებულია ლარში და აშშ დოლარში.

## 8. საწესდებო კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალს წარმოადგენს პარტნიორების შენატანი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 464956 ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 172000 ლარს. და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 222000 ლარს.

|                                                                                             | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|------------|
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 100000     | 100000     | 222000     |

## 9. შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს შემოსავლები მინის წარმოებიდან. დეტელური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა კომპანია აღიარებს შემოსავალს მიწოდებული საქონლის მიხედვით იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ.

|                          | 2022     | 2021    |
|--------------------------|----------|---------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან | 4362778  | 3751212 |
| სხვა შემოსავალი          | 2450     | 0       |
| ფინანსური შემოსავალი     | 101176   | 224899  |
| სულ შემოსავალი           | 44606404 | 3976111 |

### ფინანსური შემოსავალი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი 2022 წელს შეადგენდა 101176 ლარს, ფინანსური შემოსავალი კომპანიას მიღებული აქვს სავალუტო კურსის ცვლილებით.

### ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელიარ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში.

### პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

### 10. თვითღირებულება

|                                   | 2022    | 2021    |
|-----------------------------------|---------|---------|
| მასალები                          | 2406720 | 2241873 |
| ტრანსპორტირება და მიწოდების ხარჯი | 14434   | 10054   |
| ელ ენერგია                        | 83334   | 72470   |
| სხვა ხარჯები                      | 0       | 112365  |
| სულ თვითღირებულება                | 2504488 | 2436762 |

## 11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                     | 2022   | 2021   |
|-------------------------------------|--------|--------|
| კომუნალური ხარჯი                    | 11206  | 4752   |
| საგადასახადო ხარჯი                  | 12514  | 12502  |
| კომპ და საკანც ხარჯი                | 5761   | 5352   |
| ბანკის მომსახურების ხარჯი           | 22194  | 14796  |
| წარმომადგენლობითი ხარჯი             | 1841   | -      |
| დაზღვევა                            | 9831   | 9410   |
| რემონტის ხარჯი                      | 667    | 2790   |
| სხვა ხარჯი                          | 87584  | 108710 |
| სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი | 153620 | 158312 |

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულების მომავალ პერიოდში.

### საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეფასება საგადასახადო ორგანოების შეფასებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და ამან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოთა მიერ ტრაზაქციების ეჭვქვეშ დაყენება, რის გამოც კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები, კომპანია მიიჩნევს, რომ მან გადაიხადა საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

### გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

### მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოდელის დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას  $(X/0.85 \times 15\%)$  15%-იანი მოგების გადასახდით.

მოგების გადასახდის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

### დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

### სასამართლო დავები

კომპანია ყოველ საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „დინა“-ს

დირექტორი:



ნათია თოდუა